სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 **სექტემბერი, 2026 წ.**

ბრძანება №01-02/162

ბსუ-ში 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ფარგლებში
ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე **„განათლების მეცნიერებები“**
მისაღები საგამოცდო კომისიების შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, **კრედიტების აღიარებისა** და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, **,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის** დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების, ,,2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2026 წლის 29 ივნისის №1.1/80 ბრძანების, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (თსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (აწსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თესაუ) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ბსუ) შორის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულების (17.07.2025 წ.), „ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებების“ დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის №06-01/37 დადგენილების (ცვლილება - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/127 დადგენილებით), ,,2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/124 დადგენილების საფუძველზე, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათების (MES 3 26 0000972859, **24/07/2026 წ. და** MES 7 26 0001077982, 21.08.2026 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა **მობილობის** ფარგლებში **ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ,,განათლების მეცნიერებები“ ჩარიცხვისათვის**

მისაღები **გამოცდების ჩატარების მიზნით შეიქმნას საგამოცდო კომისიები, წინამდებარე ბრძანების** №1 დანართის შესაბამისად.

2. სადოქტორო პროგრამაზე ,,განათლების მეცნიერებები" შიდა მობილობის მსურველისათვის (ვინც განაცხადებს თანხმობას, ფაკულტეტის მიერ მომზადებული კრედიტების აღიარების დასკვნაზე) ჩატარებული გამოცდის/გასაუბრების საბოლოო შედეგების გათვალისწინებით ფაკულტეტმა გამოავლინოს პროგრამაზე ჩარიცხვაზე უფლებამოპოვებული პირი და წარმოდგენილი იქნეს ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი (შენიშვნა: ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების" შესაბამისად, ,,სადოქტორო პროგრამაზე მისაღებ კონკურსში თანაბარქულიანი პირების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სპეციალობის გამოცდის/გასაუბრების შედეგებს. ასევე გაითვალისწინება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული მიღების დამატებითი პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)").

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ამ ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილემ (გ. ქათამაძე).

5. ბრძანება დაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: შესაბამის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ში 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ფარგლებში ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ,,განათლების მეცნიერებები“ მისაღები საგამოცდო კომისიების შექმნის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 02 სექტემბრის №01-02/162 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ში 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ფარგლებში ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ,,განათლების მეცნიერებები“ **,,სპეციალობაში“** **მისაღები გამოცდის კომისია**		
1.	თსუ-ს პროფესორი ქეთევან ჭკუასელი	თავმჯდომარე
2.	ბსუ -ს პროფესორი ლელა თავდგირიძე	მდივანი
3.	აწსუ-ს პროფესორი იმერი ბასილაძე	წევრი
4.	თესაუ-ს პროფესორი ნინო მოდებაძე	წევრი

ბსუ-ში 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ფარგლებში ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ,,განათლების მეცნიერებები“ **,,სპეციალობაში“** **მისაღები გამოცდის სააპელაციო** (საპრეტენზიო) **კომისიის შემადგენლობა**		
1.	თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი	თავმჯდომარე
2.	ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი ნატო შეროზია	მდივანი
3.	თესაუ-ს ასოცირებული პროფესორი ნინო ორჯონიკიძე	წევრი

(შენიშვნა: გამოცდის შედეგზე **„**განაცხადი (საჩივარი) უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას და დასაბუთებას დოქტორანტურაში მიღების ან/და ჩარიცხვის პროცედურებში გამოვლენილი დარღვევების შესახებ. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მოიწვიოს საჩივრის/აპელაციის განხილვაზე არაუგვიანეს **განხილვამდე 1 დღით ადრე.** სააპელაციო კომისია აპელაციის განხილვის შედეგად, სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, კერძოდ: ა) იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება პროცედურული დარღვევა, შესაბამისი დასაბუთებით (მითითებით) საკითხი უბრუნდება დოქტორანტურაში მიმღებ კომისიას (საგამოცდო კომისიას), საჭირო პირობების დაცვით მისი ხელახლა განხილვის მიზნით; ბ) იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისია ვერ დაადგენს დარღვევას, დოქტორანტურაში მიმღები კომისიის (საგამოცდო კომისიის) გადაწყვეტილება რჩება უცვლელი. სააპელაციო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილება გაუგზავნოს/გააცნოს აპელანტს. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას“.

ბსუ-ში 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ფარგლებში ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ,,განათლების მეცნიერებები“

მისაღები გამოცდის (**გასაუბრების**) **<u>კომისიის შემადგენლობა</u>**

(ერთობლივი სადოქტორო პროგრამის ,,განათლების მეცნიერებები“
მმართველი საბჭოს წევრები)

კომისიის წევრები თსუ-დან		
1.	თსუ-ს პროფესორი ქეთევან ჭკუასელი	<u>თავმჯდომარე</u>
2.	თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი	წევრი
3.	თსუ-ს ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე	წევრი
კომისიის წევრები <u>აწსუ-დან</u>		
1.	აწსუ-ს პროფესორი იმერი ბასილაძე	წევრი
2.	აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი ვლადიმერ ადეიშვილი	წევრი
კომისიის წევრები <u>თესაუ -დან</u>		
1.	თესაუ-ს პროფესორი ნინო მოდებაძე	წევრი
2.	თესაუ-ს პროფესორი ნინო ნახუცრიშვილი	წევრი
კომისიის წევრები ბსუ-დან		
1.	ბსუ-ს პროფესორი ლელა თურმანიძე	წევრი
2.	ბსუ-ს პროფესორი ლელა თავდგირიძე	<u>მდივანი</u>